№ 76

ფასი 1 მან.

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამგე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

პარასკევი 4 აპრილი 1919 წ.

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—220 მ. ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვით 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10 საათიდან ამუდამდეინ 3 საათამდე. ბათონის ქ. № 6, ტელეფონი 11—82.

გულდაწყვეტილი მშობლები: ნოე ნაკოლოზის ძე და ინა ივანეს ასული, ბებია ქრისტინე და ასმათ ეროდიანეში ატყობენენ მეგობრებს, ნაცნობთ და ნათესავთ უდროო გარდაცვალებას საყვარელი ვაჟის

ანდრეიკა შოკრდანიასი

ვამოსვენება მოხდება მინდიდან (ერმონოვის ქ. № 9) შაბათს ოთხ საათზე ეროვნულზე, საიდანაც წაასვენებენ იმავე საღამოს ქ. ლანჩხუთში, დაკრძალვა ლანჩხუთის წმ. გიორგის გალავანზე სამშაბათს რვა აპრილს 12 საათზე. პანაშვიდი მინაზე პარასკევს საღამოს 6 საათზე. 4—1

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბაჟინო რკინის გზის მმართველობა

ამით აცხადებს, თანახმად ბ. გზათა მინისტრის დადგენილებისა 24 მარტს 1919 წ., რომ რკინის გზით საქონლის გამზავნეს და მიმღებს ნება ეძლევა ჩეკებით გაუწეროს რკინის გზას, რისთვისაც „მიმდინარე ანგარიში" უნდა იქონიოს. მიმდინარე ანგარიში შეიძლება მსურველმა იქონიოს გამგეობე, ან მიმღებ, ან რამდენსამე სადგურზედ, რის შესახებ თხოვნით უნდა მიმართოს ბ. გზის უფროსს და თხოვნაში მოიხსენიოს: სახელი, მამის სახელი, გვარი, მისამართი, რაოდენობა კრედიტისა, სადგური და გვარი, იმისი, ვინც ჩეკებს ხელს მოაწერს იმისგე ფაქსიმილეთი. გზის უფროსის თანხმობის მიღებისთანავე უნდა შეიტანოს რკინის გზის მთავარ სალაროში, ან სადგურისაში ნაღდ ფულად თანხა, რომელიც მისგან ნათხოვ კრედიტს ფლობს, მაგრამ არა ნაკლებ 5.000 მანეთისა თითო სადგურისათვის, რის სამაგიეროთ მიეცემა საქვითიო და სამგზავსო ნაწილისგან საქვითოს წარდგენისამებრ ჩეკების წიგნაკი. 580 3—3

ნ ა ვ თ ი

1. ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება საჯაროთ და სასლით კომისიტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ ნავთის ნაწილი და გამოსადეგია ბორჯალოთან ერთად, ბარეთვე მეორე და მესამე სხვადასხვა ტალონი, პირველი სერია შაქრის ბარათებისა ნავთის მისაღებათ. ნავთის ფასი 34 მან. 25 კაპ. ფუთზე.

2. ნავთი ფასით 53 მ. ფუთზე მიეცემა ყველა მსურველს უბარათოთ განუსაზღვრელი რაოდენობით.

584 3—3

ს უ რ ვ ი.

ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილება

ამით ატყობს ყველა ქარხნების, სახელოსნოთ, საზოგადოებრივ და სხვა დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომ ახლო მომავალში განყოფილება შეუდგება იაფ ფასიან პურის გაცემას ზემო აღნიშნულ დაწესებულებების მომუშავეთა და მოსამსახურეთა შორის. ამისთვის საჭიროა ხელ მოკლე ხანში წარმოდგენილ იქნას სასურსათო განყოფილების პურის ბიუროში მომუშავეთა და მოსამსახურეთა სიები, თან ნაჩვენები უნდა იქნას რიცხვი მათი ოჯახური შემადგენლობისა. სიები შემოწმებული უნდა იქნან ბეჭდის დასმით დაწესებულების პასუხისმგებელ პირების მიერ, ქარხნების მომუშავეთა სიები შემოწმებული უნდა იქნან მათი პროფესიონალურ კავშირის გამგეობის მიერ.

ქალაქის თვითმმართველობის სასურ. განყოფილება.

579 3—3

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ი. ეულახიშვილის დირექცია.

პარასკევს, აპრილის 4-ს,

შუღრანის, გრანელის, მოროზოვის, სარაჯიშვილის და ინაიშვის მონაწილეობით

„აბესალომ და ეთერი"

შაბათს, აპრილის 5-ს, შვამბერიის, სპიტკოს, კაწიშნის, სარაჯიშვილის, პოლიაიეისა და ისეულის მონაწილეობით **„ხატყო"**. კვირას, აპრილის 6-ს, დილით **„ფაუსტი"** და **„ვალპურგიის ღამე"**, საღამოს—საპენეციის მონაწილეობით **„გეშა"**. ორშაბათს, აპრილის 7-ს, რუს ქუეშმოდმა ხელიართა დღეს ალეკოს მონაწილეობით **„ევგენი ონეგინი"**. 595 1—1

მ თ ა ვ ა რ ი ს ა ბ ა ჭ ო

ამით აცხადებს, რომ 4 აპრილს და შემდეგ დღეებში ამა 1919 წ.

საბაჟოში დანიშნულია საზარო ვაჭრობა

საბაჟოს მიერ ჩამორთმეულ სხვა და სხვა საქონლებისა.

491 3—2 მთავარი საბაჟო.

საქართველოს რესპუბლიკის ოფიც. ეკონომიური საზოგადოება

აცხადებს, რომ განყოფილებები გაიღება დილის 9 ს. დღის 2 საათამდე და დღის 5 საათ. საღამოს 7 საათამდე. 593 1—1

საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების ზედამხედველი კომიტეტი

აცხადებს, რომ რწმუნებულობის ასარჩევ თ საზოგადო კრებისთვის, რომელიც მოწვეულია ამა წლის აპრილის 15 ს, დილის 10 საათზე, საზოგადოების შენობაზე, კირონი ქუჩაზე, ის ოფიცერ კერძო კრებებს საზოგადოების ფილიალებისას, რომლებიც რესპუბლიკის ჯარში არ მაბატონებენ, შეიძლება დღეებში:

5	აპრილს,	დილის	9	საათზე	I კომპანიისა. (ნებო სართ. სხვომ. ოთახი).
„	„	„		„	II „ (მეორე სართ. შესამ. განყ.).
„	„	„	5	„	III „ (ნებო სართ. სხვომ. ოთახი).
„	„	„		„	VI „ (მეორე სართ. შესამ. განყ.)
6	„	„	9	„	V „ (ნებო სართ. სხვ. ოთახი).
„	„	„		„	IV „ (მეორე სართ. შეს. განყ.)
„	„	„	5	„	VII „ (ნებო სართ. სხვ. ოთახი)
„	„	„		„	VIII „ (ეორე სართ. შესამ. განყ.)
7	„	„	5	„	IX „ (ნებო სართ. სხე. ოთახი)
„	„	„		„	X „ (მეორე სართ. შესამ. განყ.)
„	„	„	5	„	XI „ (ნებო სართ. სხე. ოთახი)
„	„	„		„	XII „ (მეორე სართ. შესამ. განყ.)

ვინც კერძო სხდომაზე გამოცხადდება თან უნდა ჰქონდეს ანგარიშის საპაიო წიგნაკი და პირადობის მოწმობა მისამართით. კრებაზე უნდა შესულიყვნ ოქმი, სადაც ნაჩვენები იქნება კრებაზე დამსწრე წევრთა გვარები და მათი საპაიო წიგნაკების №№. საბუთების გადასინჯავს ზედამხედველ კომიტეტის წევრი. 592. 2—1.

მუშა ხელისა და ქალალდის საგრძნობლად გაძვირების გამო 1-ლ აპრილიდან ჩვენი გაზეთი ეღირება მანეთი. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით კი ორი მანეთი. თვიურად ეღირება 20 მან.

გაზ „საქართველოს რესპუბლიკის" კონტორა.

ექიმი

ნ. მ. პაპანაძე

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს. მისამართი: ვერის დაღმართი, № 1 ბინა 20. მელიქ აზარიანის სახლი.

გამოვიდა და იყიდება ყურნალი № 7—8

„საქართველოს ეკონომისტი"

ბაქო ოფიციალური ნაწილიდან

იუსტიციის სამინისტროში

თათბირი იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაციისათვის.

შაბათს, მარტის 29-ს, იუსტიციის მინისტრის ამხანაგის ს.-დ. ჯუღაშვილის თავჯდომარეობით გაიმართა თათბირი იუსტიციის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ. თათბირში მონაწილეობას იღებდენ სასამართლო უწყების მოხელენი და ნაწილ ექსპერტიზის წევრნი. თათბირზე ორი უმთავრესი აზრი გამოითქვა: ერთი (უმცირესობის აზრი)—რომ სამინისტრო, როგორც ცალკე სამინისტრო, უნდა მოისპოს, მეორე კი იცავდა სამინისტროს დამოუკიდებლ არსებობის საჭიროებას. უმცირესობა თავისს აზრს იმით ასაბუთებდა, რომ საქართა სასამართლო უწყების გამარტივება, ზედეზე ბარჯების შემოკლება, უმთავრესად თვით მხრივ არ უარჰყოფდა უწყების გამარტივების საჭიროებას, მხოლოდ შეუფერებლად მიაჩნდა სამინისტროს გაუქმება, უმრავლესობის აზრით სამინისტროს მოსპობა უხერხულ მდგომარეობას შეჰქმნის, რადგან ამ შემთხვევაში უწყების ალარ ეყოლება ერთი ხელმძღვანელი, ერთი პოლიტიკის გამტარებელი. ალარ ეყოლება სასამართლო უწყებას წარმომადგენელი მთავრობაში, რაკი ამ წარმომადგენლის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა საკითხის გარჩევის დროს.

სასამართლოს გამომძიებელთა თათბირი.

ვიარის, მარტის 30-ს, იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ს.-დ. ჯუღაშვილმა განკარგულებით, მოწვეულნი იყო ქ. ტფილისის და ტფილისის მაზრის გამომძიებელთა თათბირი, თათბირს დაესწრნენ თვით იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ს. დ. ჯუღაშვილი, ტფილისის სასამართლო პალატის და პოლეის სასამართლოს პროკურორის ნაწილის მთელი შემადგენლობა, ტფილისის ოლქის ს ასამართლოს თავმჯდომარე ვ. ბ. კიხნია და სხვ. ბ. თანამშრომლის პირნი. იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა მიმართა შეკრებილ გამომძიებელთ განცხადებით, რომ მთავრობის წევრებში და საზოგადო სფეროებში უკმაყოფილობას აქცევენ იმ გარემოებას, რომ სისხლის სასამართლო ვ განსაკუთრებით საგამომძიებლო ნაწილი ერთის სულისდგმა და რომ ოფიციალიზეც საქართა პოლიტ-მოქმედებასთან ბრძოლის გაძლიერება, როგორც გამომძიების დაჩქარებით, ისე პოროტ-მოქმედთა წინააღმდეგ რეპრესიების გაძლიერებით.

თათბირზე, სხვათა შორის გამოირკვა, რომ გამომძიებელთა ხელში თავმოყრილია დიდძალი საქმეები, რომლებიც უკანასკნელ დროში უსიძრაოდ იყენენ დატოვებულნი განკუთვნილ ანარქიულ მდგომარეობის გამო. გამოირკვა ისიც, რომ დღევანდელს პირობებშიაც გამომძიებელთა მუშაობას დიდად ატყორცნებს დანიშნულ ტაბატორიის პაპარატის უყარგისობა: დანიშნულ ტაბატორიაც მაზრებში სულ ალაც ყურადღებას გამომძიებელთა მოთხოვნილებებს, ქალაქშიაც ენერგიულად ვერ ეხმარება, ხანდისხან უხეშადაც ეპყრობა სასამართლოს მოხელეებს. გვამების შესამოწმებლად არ არის ექიმები, რის გამო ხშირად 10—12 გვამი რამდენისამე კვირის განმავლობაში შეიცნობი. ეს დაოქმაბაი ირჩია. თათბირზედ გამომძიებელს სამუალო რიცხვით 300-დე გამოსაძიებელი საქმე აქვს, რასაც გამომძიებლები ვერ ახერხებ. ბევრი კიდევ სხვა მიზეზები გამოირკვა წინასწარ გამოძიების წესიერ დონეზე დაყვანებლობისა. ერთ ისეთ მიზეზთაგანად დასახელებულ იქნა სამომძიებლო ნაწილის შემადგენლობის ჯეროვნად გამოცდილების.

შეკრებილმა გამომძიებლებმა აღუთქვეს სასამართლო უწყების ახალს ხელმძღვანელს ზედ და ენერგიულად საქმიანობა პროკურორ-მოქმედებათა აღმოსაჩენად და თავის მხრივ ისიც აღუქვა ზემოხსენებულ დამბარკოლიებელ მიზეზების მოსასპობად (სათანადო ზომებს შეიტან, რაც ს. დ. ჯუღაშვილმ მათ აღუთქვა.

მინდობილობის საქმინისტროში

მევენახეობის და მეღვინეობის ოფიციალი კომიტეტი.

ბორათ-მოქმედების სასოფლო-სამეურნეო ნაწილში დადგინა ეხლავე გადარიცხულ იქნენ სამსახურში ყოფილ მევენახეობის და მეღვინეობის საგზებრენით კომიტეტის ინსტრუქტორები და აგრეთვე თავის შესაფერ კრედიტებით და აგრეთვე გადაეცეს მასვე დიპლომის, კონდილის და ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სანერგეებ, საქართის სანერგე კი დარჩეს შიშათ-მოქმედების განკარგულებაში. კახეთელი და ინეეტარი საგზებრინო კომიტეტებისა უნდა გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს მეღვინეობის მიზედე რაიონის ტრობებს შორის გასანაწილებლად.

მინისტრის მიმართვა ბ-ნ ქარცივაძისადმი.

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ადერბეიჯანის რესპუბლიკაში ბ-ნ ქარცივაძეს მიწათ-მოქმედების მინისტრმა ბ. ხოშტარიამ მიმართა თხოვნით, რომ მან წაიწადიყოს მისკენ ადერბეიჯანის მთავრობას, გამოუშვას შაბიანსკი, გოგირდი და ვერმირულის აპარატები, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, რის ნაცვლათაც საქართველოს რესპუბლიკიდან ადერბეიჯანში გატარებულ იქნება აბრეშუმის თესლი.

აბრეშუმის თესლის გაშვება.

მიწათ-მოქმედების მინისტრმა ბ. ხოშტარიამ მიანდო ქუთაისის საბაჟო-უშუამდგომლო ბიუროს საბაჟო-ბროკერობის ფირმა „ტრანსიტ-ალიანსს" ადერბეიჯანში გატარებულ აბრეშუმის თესლის საქართველოს რესპუბლიკაში გადმოსაზიდად.

ლტოლვილთათვის დახმარების გამო.

ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტმა გადუგზავნა თავის წარმომადგენელს ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში ბ. ბაქრაძეს 50000 მანეთი ლტოლვილთა დასახმარებლათ, თანაც ცნობა, რომ მთელის სამწუხარო ხოშეი ლტოლვილთა სასწრაფო გაყვანის შესახებ პოროკომის რაიონიდან ქ. თეფს სოფლებში. სოფლების სამუშაოს შესადგომათ კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ჩიკვაიძემ მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე შემადგენლობა ლიძრა ხოროკეთი დახმარების შესახებ სათესლე მასალათ. მიწათ-მოქმედების მინისტრმა განუცხადა ბ. ჩიკვაიძეს, რომ მიწ. მოქმ. სამინისტრო აარსებს ბრტელ ამ მიზეზის დასამუშავებლათ, რომელიც დაუფასვა დარჩება, სადაც დაიესილი იქნება შვრია.

ფასი ჩაიზე.

ამავე ნაწილზე მოისმინა მოხსენება ოზურგეთის საელილ მინდვრის გამგისა ფასების დანიშვნის შესახებ ჩაიზე და დაადგინა მოწონებულ იქნას წარმოდგენილი გამგის მიერ ფასები 6 მან. გირვანქაზე. მწვანე ჩაის ფოთლის შესაძენათ კი გირვანქაზე დაინიშნოს 3—5 მ.

აბრეშუმის თესლის შეძენა.

თანახმად მიწათ-მოქმედების მინისტრის შემდგომლობისა და ერთობთა კავშირის შუამდგომლობისა, ქუთაისის საბაჟოშუამ სადგურის უფროსმა მ. ი. ქუთათელაძემ შეიძინა ექვსი ორცხები შემოწმებულ აბრეშუმის თესლი და სხვა და სხვა ფირმებისაგან. აბრეშუმის თესლი ერთობთა და კოოპერატივების საშუალებით განაწილებული იქნება საქართველოს სახელმწიფო რაიონის მცხოვრებთა შორის შედეგათ ამ პირობებში, დაწერილებით ცნობებისათვის უნდა მიმართონ ქუთაისში საბაჟო-შუამ სადგურის გამგეს ბ. ი. ქუთათელაძეს.

ქუთაისის მანდორი.

მიწ. მოქმედების სასოფლო სამეურნეო ნაწილმა დაადგინა გაზაფხულის სამუშაოებზე დაწყების გამო ჭინახეთის შეგროვებამდე ქუთაისის საცდელი მინდორი დატოვებულ იქნების სოფ. ყულაშში იმ პირობით, რომ ამასთან ერთად მან აწარმოოს მუშაობა ჯვარედინ-შეთანაზე, არჩეულ იქნების კომისია, რომელიც ენად შეეცნენ მიწათ-მოქმედების სასოფლო სამეურნეო სექციის წარმომადგენელი ნიადაგის მკოდნე კალენინი, ამ მიზნით რის გამგე ბ. ჯაფარიძე ქუთაისის სამაზრო ერობის და ქუთაისის სასოფლო სამეურნეო საზოლე წარმომადგენელნი. ამ კომისიამ უნდა გამოაყოს მიწის ნაკვეთი, მოძრავ ქონების და სამეურნეო შენობის შესაძენათ საჭიროების მინდვრის და სკოლის საჭიროებისათვის.

წინამდლის ღვინო.

ამავე ნაწილმა თანამხმო საგანგები კომისიას მოხსენებისა, დანიშნა ფასები წინამდლის სახელმწიფო ეროვნული მაყუთების ღვინოზე ვედროზე ალაგმრივ 125 მანეთი და ტფილისში 135 მან. უკუჭელთ.

ადმინისტრაციის საინსპექტორო.

ბარათი ბევსურებს.

პირიქით ბევსურეთის მცხოვრებთა დელეგაცია წარუდგა დენინისტრაციის ინსპექტორს ბ. შ. ნ. მალოკელიძეს ვრცელი მოხსენებით. ბევსურებმა მოახსენეს ბ. მალოკელიძეს, რომ დღიდი ხანია ისინი ლამობდენ მასთან ჩამოსვლას, მაგრამ პირიქითა ბევსურეთი თვის მკაცრ ბუნებით ისეა მოწყვეტილი ჩვენ რესპუბლიკას, რომ მარტო ეხლა, როცა თოვლი ჩამოვდა, მათ მიეცათ საშუალება მოსულიყო. ბევსურთ დუნეულს ის უშუალო მდგომარეობა, რომელშიაც ისინი არიან ჩაცვივნენით. უზომობის გარდა, ისინი საშინელ საგონებელში არიან ჩაცვივნენით ქისტების და გროზნის ოლქის ლეკებისაგან, რომელნაც მშვენივრად შეიარაღებულნი უკანასკნელ სისტემის იარაღით, თავს ესხმიან მათ და იტაცებენ მათ სარჩო საბალებელს და საქონელს. ვინაიდან ხშირად ისინი არა აქვთ, ვერ უმკლავდებიან ამთავდასხმელებს, რომელნიც მხოლოდ ამ ხელთას მისდევენ, დასასრულ თვის თხოვნის პირიქით ბევსურთის დელეგატებმა სთხოვეს ბ. მალოკელიძეს მოეცათ მათთვის იარაღი და ყაზაკთა წინააღმდეგ საბრძოლველათ და თავის დასაცავათ. ბ. მალოკელიძემ დაპირებით მოუსმინა მათ თხოვნა და სწორედ განკარგულება მოახდინა, რომ მათ მისცეთ მოდათ საჭირო იარაღი და პატრონები. ბევსურებმა უკვე მიიღეს იარაღი და მადლობაც გადაუხადეს ბ. მალოკელიძეს.

მილიციის შენახვა.

თიანეთის მაზრის კომისარმა შუამდგომლობა აღძრა ადმინისტრაციის ინსპექტორ ბ. მალოკელიძის წინაშე, რათა მაზრის მილიციის და ადმინისტრაციის დასაკმაყოფილებლათ ჯამაგირების მიცემის მხრივ დახმარება აღმოეჩინის. ბ. მალოკელიძემ აღნიშნა კომისარს, რომ კრედიტი ჯერჯერობით გახსნილია და მათი შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება.

ბათალიონის ნაწილის გაყვანა.

თანახმათ ადმინისტრაციის ინსპექტორის ბ. მალოკელიძის განკარგულებისა საგუბრინო ბათალიონის ნაწილები ბორჩალოს მაზრიდან გამოწვეულ იქნენ ამ მაზრიდან ტფილისში.

კომისრის დატოვება.

ბორჩალოს რაიონის კომისარი ბინაკოვი გამოძახების შემდეგ ადმინისტრაციის ინსპექტორ ბ. მალოკელიძის მიერ დატოვებულ იქნა თავის თანამდებობაზე.

დუშეთის ერობის თხოვნა.

დუშეთის სამაზრო ერობის შუამდგომლობა ამ მაზრაში ცხენოსან ზარის დაარსების შესახებ მილიციის დასაზარებლათ ადმინისტრაციის ინსპექტორმა შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ბ. მალოკელიძემ აცნობა დუშეთის სამაზრო ერობას, რომ მან ფრად წარმოადგინოს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება, როგორც რაზმის დაარსების საჭიროების, ისე ცრცელი ხარჯთ აღრიცხვა ამ რაზმის შენახვის შესახებ.

საქართველოს სამხედრო გზაზე.

დუშეთის მაზრის კომისარის ადმინისტრაციის ინსპექტორმა ბ. მალოკელიძემ განკარგულება ეცნობა, რომ მიიღოს შესაფერი ზომები საქართველოს სახედრო გზაზე ყაზბეგის რაიონში საქონლის გაზიდვა შემოზიდვის საქმის საკონტროლოდ.

ახალციხის საქმეები.

ადმინისტრაციის ინსპექტორის ბ. მალოკელიძის მოადგილე ახალციხე—ახალქალაქის მაზრებში პირდაპირი მიმოსვლით ელასპოვა ახალციხიდან ბ. მალოკელიძეს და სთხოვა დირექტივების მიცემა თუ რამდენით მიიღოს მონაწილეობა გენ.-გუბერნატორ გენ. კვინიტაძეულებ მოსაწვევში. ბ. მალოკელიძემ განკარგულება მისცა გაგზავნოს გენ. კვინიტაძეს სრული დაბარებით, როგორც საქმით, ისე ფულით იმ თანხისაც, რომელიც ბ. მალოკელიძის განკარგულებაშია გადადებული იმ ზომით, რამდენათაც ეს მის ხელთ იქნება. ჯაფარის მგეზლობა კი ადმინისტრაციის ბაზრის მოწყობაში დარჩება გენ.-გუბ. კვინიტაძის ხელში, ვიდრე არ ჩავა ახალციხეში თვითონ ბ. მალოკელიძე.

მძარცველები.

აღებულიან რაიონში თანაბმად მიღებულ ცნობებისა ბრა-ის გამოწვენილან მძარცველები და აწუხებენ მცხოვრებთ. ადმინისტრაციის ინსპექტორმა ტფ. ბაზრის კომისარის სახელზე განკარგულება მოიახდინა მიიღოს სასწრაფო ზომები ამ მძარცველთა ასალაგმათ და შესახერხებლათ.

ბ. მალოკელიძის გამგზავრება

შინაგან საქმეთა მინისტრის მინდობილობით ადმინისტრაციის ინსპექტორი ბ. მალოკელიძე ამ დღეებში მიემგზავრება ახალციხე ახალქალაქის მაზრებში განსაკუთრებულ დირექტივებით ამ მაზრებში ახალ რეფორმების გასატარებლათ, რომელიც წინა მოგზაურობის მოხსენების შეფერებით გამოწვეული.

სილნაღის მაზრის უანალიზი.

სადგენელი ზომებით, რომელიც მიღებულ იქნა ადმინისტრაციის ინსპექტორ ბ. მალოკელიძის მიერ ამ მაზრაში მოთარეშე ბევრი ყაზაღაუბნი უკვე დაპატიმრებულ იქნა. სადგენელი დახმარება ამ საქმეში აღმოუჩინეს მაზრის კომისარმა ვარშამოვმა.

თელავის მაზრის უანალიზი.

სასწრაფო ზომებია მიღებული ადმინისტრაციის ინსპექტორის ბ. მალოკელიძის მიერ, რომ თელავის მაზრაში მეზრად უანალიზა ბრძოლა „ტურტუნებს" მეთაურობით სრული ლაგდაღება მოხდეს.

მუსულმანთა დივიზიონი.

ქარიფელ მუსულმანთა დივიზიონში მყოფი არა მაქმადიანნი ჯარისკაცები ადმინისტრ. ინსპექტორ ბ. მალოკელიძის განკარგულებით განთავისუფლებულ იქნენ. მაქმადიანი ჯარისკაცები კი დატოვებულ იქნენ დივიზიონში, რომელიც ტფილისში იმყოფება.

ინგლისელთა ვაგონის გაჩერების საქმე.

ინგლისელთა ვაგონის გაჩერების საქმეზე შეკრებილი ბაზარ-ბორჯომის სადგურთა უფროსის ინსპიანშვილის და სხვა. შუამდგომლობა გასამართლების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გადაეცა განსახილველათ და დასასკვნელათ ადმინისტრაციის ინსპექტორ ბ. მალოკელიძეს.

ახალციხის კურორტი

მიწათ-მოქმედების მინისტრმა ბ. ხოშტარიამ გუშინ წარუდგინა მთავრობას ვრცელი მოხსენება სილნაღის მაზრაში ს. გურჯაანთან ახტალის ტალახიან წყლებზე საგანგებო კურორტის დაარსების შესახებ მომდინარე საზოგადოო სიწონდენსე. ბ. მინისტრის მოხსენებით სიაიდანაც და ამ საქართველის გამო, რომელიც ითხოვს ამ კურორტის 1 თიბათვიდანვე გახსნას განზრახულია აგება დროებითი ფარდულებისა სადა სასტიკით, ხის მასალისაგან, ერთი ტალახიან წყლის სამკურნალოსი, 1 ფარდული ძმიე ავთმოყოფთათვის, 3 ფარდული სატბორებელ ბინებისა, 1 ფარდული სამკურნალო და ადმინისტრატიულ პერსონალისათვის და 4 ცალ სასადგურო სახანაო. ღირებულება მთელი ამ შენობებისა ხის მასალის ფერის 225000 მანეთს, სამუშაო ხელფასი კი 175000 მან. სულ კი 400000 მ. მაგრამ თუ მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ ტყის მასალა შუათათ იქნება დათმობილი სახინისტროს მიერ, მაშინ ხარჯები დასმენილება მხოლოდ 175000 მანეთი. შემოსავალი ნაგარაუდევია 124700 მან. ხოლო ხარჯი 74700 მ. ამგვარათ წმინდა მოგება მოსალოდნელია 50000 მან. დასასრულ მინისტრი ითხოვს ასწენებს რა ამ გარემოებას, რომ დამფუძნებელ კრების მოხსენებამდე საშუშმოები დღესვე უნდა იქნეს დაწყებული, სთხოვს მთავრობას თ ამ მიღიონიან ფონდიდან 100000 მანეთი გადასდოს სამუშაოს დაწყებისათვის.

საგანგებო სასამართლოში.

დუშეთის აჯანყების საქმე.

ტფილისის საგანგებო სასამართლოში ამ პოლეე ხანში განიხილეა საქმე დუშეთის აჯანყების შესახებ.

ტუსაღის გაქცევა.

1 აპრილს საგანგებო სასამართლოში ირიგიდა უფროს მილიციონერის ტუდენტ პლატონ ფეოხარის საქმე, რომელსაც მრავალი ბორობქმედება არაერთებოდა. როდესაც დატუსაღებული სასამართლოში მიჰყავდათ იგი ბაქოში გაიქცა და მიიმალა.

ფიცრების ქურდობის საქმე.

8 აპრილს საგანგებო სასამართლოში დაიწყება საქმის გამოძიება წარსულ წელს გორში მოკლულ ოფიცრის დაითვო წერეთელის მკვლელ სახალხო გვარდიელებისა.

მუნიციპალური ცხოვრება

სადეზინფექციო კამერაში გაფიცვის მოხსნა.

ქალაქის სადეზინფექციო კამერის მოსამსახურეებმა გაფიცვა მოხსნეს და მუშაობას შეუდგნენ.

გაფიცვის საქმე საავთომყოფოებში.

დიდწყო ავთმოყოფის მიღება ქალაქის სამკურნალოებში, მხოლოდ ქალაქის საავთმყოფოებში კი გაფიცვა არ გათავებულა. საავთო-

ჰყოფილები იღებენ მარტო უპატრონო და ღატოვნელ სახლიანებს. ქალაქის სამკურნალოებთან დაწესებულ აფთიაქების მოსახმარები ჯერ კიდევ გაფიცულნი არიან და ამიტომ ექიმების ბარათებით უფასონო წამლების მიღება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

ქალაქის ფარმაცევტების მოთხოვნილება. ტფილისის აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირმა ქალაქის გამგეობის მოთხოვნილება წარუდგინა, რათა ქალაქის ფარმაცევტებს, პროფესორების და აფთიაქში მომუშავეთა ჯამაგირები მოემატოთ 100 პროც.

თეგზეულობის გაიოფების საკითხი. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ამ დღეებში მოიწვევს სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენელებს სათათბიროთ თეგზეულობის გაიაფების შესახებ.

წყალსადენის საქმე და წყლის ფასის საკითხი. ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის პროფესორის ბ. ბენია ჩხეიძეშვილის თავმჯდომარეობით გამგეობის წევრმა ი. ი. ჯაფარიძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ქალაქის წყალსადენის შესახებ. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ გასულ წელს სიქსლოსანი ტბიდან ხარჯი წყალსადენისა აღწევდიდა 7,895,280 მან. და 900,000 მან. არა ჰყოფნის შეშისათვის ამ ხარჯის დასაფარავად. მუშაობა ხელს და საჭირო მასალის, ნამეტნავად ნავთის სიძვირის გამო, ეს ხარჯი სულ მატულობს. ამ მიმდინარე აპრილის პირველ თარიღისათვის ნავთს კიდევ 88 კაპ. ფუთზე ფასი მოეწესებინა და წყალსადენის სადგურს ავეჯობაში ყოველ დღე კი 650 ფუთი ნავთი სჭირდება. ამის გამო გამგეობა იძულებულია წყალზე ფასი მოუმატოს. წინად ქალაქი ხუთ ვედრო წყალს ერთკოპეიკად ჰყიდდა ტ ხარჯების დახურვის შემდეგ მოგებაც რჩებოდა. ეხლა კი, როდესაც ქალაქის საბჭომ ეს ფასი ორჯერ გაადიდა წყალ სადენი დეფიციტით მუშაობს მაშასადამე ეს მომატებაც საკმარისათ არ გამოჩნდა [და წყალზე ფასი კიდევ გადიდდეს. ეს ქალაქის საბჭო დაადასტურებს, ვედრო წყალი 3 კაპ. გაიყიდოს, მაშინ ზემო მოყვანილი [დღეფიციტი შეიცირდება 216.780 მანეთამდე. თუ წყალი ვედრო 4 კაპ. გაიყიდება და საქსლოსატკეთო ხარჯები არ იმატებს, მაშინ ქალაქს 880.000 ფრანკი და თუ ფასთი 5 კაპ. დაწესდეს ვედროზე, იმავე პირობებში, მაშინ წყალ-სადენი ხარჯის ფასხარჯის ზედით 3.005.720 მან. შემოსავალს მიიღებს. ქალაქის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ ზოგიერთი პირობები ჯერ ეხლაც ადარ არის და ყველაფერს ფასი ემატა, როგორც მოსამსახურეების ჯამაგირის, ფუთი ნავთის და სხვ. და მომავალშიც ჯერ კიდევ უნდა ველოდეთ ფასების მომატებას, ამის გამო დაადგინა: იმუამადმოძლოს ქალაქის საბჭოს წინაშე წყლის ფასის გადიდების შესახებ ვედრო 5 კაპეიკამდე. ეს მოხსენება სასწრაფო წესით წარდგენილ იქნება საბჭოსაგან მომავალ მას კრებაზე.

ურისკაცობისაგან მიერ თანამდებობის დატოვება. ქალაქის ოურისტკონსულტა ბ. ს. ჩიბიშვილი, მის თხოვნის თანახმად, ქალაქის გამგეობის მიერ განთავისუფლებულ იქნა ამ თანამდებობიდან და სამსახურიდანაც, ბ-ნი ი. ჩიბიშვილი მიწვეულია ეროვნული სომეთის რუსეთელის ოურისტიკის მიხილებად.

ჯარისკაცთა კავშირის შეიდგომილება. დაჭრილ და დასახიჩრებულ ჯარის კაცთა კავშირის გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას მის წევრებს მიეცეს უპირველესი უფლება ქალაქის თვითმართველობის სამსახურში მიღებისა, ქალაქის საავადმყოფოში უფასოთ მკურნალობისა და უფასოთად წამლების მიღებისა ქალაქის ოფთიაქიდან.

გაფიცვის გამო. ქალაქის გამგეობის იმ მოსამსახურეთა კავშირმა, რომელნიც გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებდენ და სამსახურს თავი არ დაანებეს მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, რათა მან უფლება არ მისცეს ყოველ მოსამსახურეთა კავშირის ბიუროს ქალაქის კისიდან კავშირის თანხების და გამგეობის მინიდებენ კავშირის ნივთიერების გატანისა აღმასრულებელ კომიტეტის უნებადართოთ.

სამსახურში უკანვე მიღების შესახებ. გუშ-ნ 3 აპრილს, გათავდა ვადა ქალაქის გამგეობისადმი თხოვნის მორიგეთა სამსახურში მიღების შესახებ. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შეშოფილი თხოვნები განიხილოს და სამსახურში მასალებათ არ იქონიოს მხედველობაში მთხოვნელთა ეროვნება და ჭლავე ნაციონალიზაციის განხორციელება. თავისუფალთ უნდა მიიტანენ ის პირნი, რომელნიც სათანადოთ მოსაზადებელთა მუშაობისათვის, მიუხედავათ იმისა, თუ მან სრულიად არ იცის ქართული ენა.

საავთმყოფოების დათვალიერება. ქალაქის მოურავმა 2 აპრილს დაათვალიერა ქალაქის საავადმყოფოები, რომლებშიაც მიიგებედათ მისა, რომ ქსენების ბევრი წილი მოსამსახურენი გაფიცული არიან, სუფევს სათანადო წესი და სისუფთე. ავადმყოფებისა და მოსამსახურებისათვის დაშხადებული საჭმელი გემრიელი და კარგათ მომზადებული ამოჩნდა.

წყლის მოწოდების საკითხი. წყლის სიმცირისა და შაბის უქონლობის გამო ქალაქის წყალსადენი სადგურში (ავჭალაში) იძულებული არიან დრო გამოშვებით მანქანები გააჩერონ განსასუფთავებლათ, რისა გამოც ქალაქის წყლის მოწოდება შეფერხებულია. ამის გამო ქალაქის ზოგ უბნებში, ნამეტნავათ მაღლობების, [და განაპირა უბნებში, მილები წყალს ვერ აწვდიდენ, რაკი ამ უბნებსაც საჭიროება მიეცეს ყოველ დღე წყლის მიწოდებისა, ქალაქის გამგეობამ ჯუნიორიდანდან დაიწყო უბნებში როგით წყლის მიწოდება ექნეს ექვსი საათით.

საკლავზე ნიხრის გადიდება. ქალაქის სასაკლაოს საექსპლოატაციო ხარჯი საძირითადო გამო თანდათან ემატება და მისი შემოსავალი ვეღარ ხურავს ხარჯს. ამ ერთი წლის განმავლობაში საექსპლოატაციო ხარჯმა 955 მან. ობატა 2,493,336 მანეთამდე, ამ ხარჯის დასაფარავად ქალაქის გამგეობამ დაადგინა სიხოვის საბჭოს ნებართვა დასაკლავი დიდისა და წვრილი ფეხების მომატებაზე. გამგეობა ადგენს ნიხრის ოდენობას შემდეგ ნაირათ: ძროხის ხბოს ან ცხვრის ან ვერძის 3 მან, ლორზე 6 მან. 50 კ. და ცხვარზე 3 მან.

ყინულზე ფასის მომატება. ქალაქის სასაკოის საყინულეს ვარხანაში მომზადებულ ყინულს ქალაქის გამგეობამ ფასი მოუმატა 2 მანეთიდან 8 მანეთამდე ფუთი.

ქალაქის ელექტრონული სადგური. საქალაქო ელექტრონული სადგური, რომელიც წელიწადში მეტია რაც არ მუშაობს, მანქანების გაფუქვნის გამო, ორი კვირის შემდეგ მუშაობას განაახლებს. ჯერ შეკეთებულ ერთი მანქანაზე მეორე მანქანას შეაკეთებენ, ერთი მანქანაზე მეორე მანქანას შეაკეთებენ და ისიც დაიწყებს მუშაობას. მესამე მანქანის შეკეთებას ამჟამად კი ამ ჟამად განპავალობაში არა აქვთ.

საქართველოს დელეგაციის დაგრძნება.

ტატიშვილის ტფილისში ჩამოვიდა საზღვო კონფერენციაზე გაგზავნილი საქართველოს დელეგაციის ნაწილი ბ. ბ. ნ. ნიკოლაძე, გ. რობაძიე პროფ. ჯვაბიშვილი. ე. ღამბაშიძე ე. ზურაბიშვილი, გენ. ოდიშელიძე და სხვ. ნ. ნიკოლაძე დარჩენილი თავის სოფელ ჯიხიშში.

ოქმი

გორის მაზრის ახლად არჩეულ მოვრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა.

1919 წ. მარტის 30 დღესა გორის მაზრის სეკრეტარი ხსნიდა ყრილობას თავმჯდომარის არჩევაზე რაკიდან რაკიდან ამ ბოლოს დღის 10 საათზე გახსნა მოვრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა და მიმართა მათ მნიშვნელოვანი სიტყვით, რომელშიაც მოკლედ და მკაფიოდ გაუთხრა მნიშვნელობა სასამართლოები და სამართლისა; ყველა ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკაში დიდი უურადღება აქცია მიქცეულია სამართალს, წარმოდგენილი იგი ფილი იარაღით და ცანონით. უსარგო მოსამართლეებს, იყვნენ ზნეობით სიტყვენი და აღტეკნელნი სიმართლით, რომ მთა გზა გაუნათონ ხალხს, რომელსაც ისინი აირჩია და თავის ნდობით შემოსა.

შემდეგ ბ. გაგუშვ სთხოვა ყრილობას მმოირჩინოს თავმჯდომარე ყრილობისა; ყრილობამ ერთხმად სთხოვა მასვე, ბ. გაგუს თავმჯდომარეობა. მან მიიღო თავმჯდომარეობა, მდივნად იქნა ს. მგალობლიშვილი. ამის შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა სია მოვრიგებელ მოსამართლეთა, რომელნიც აირჩია გორის მაზრის სეკრეტარი ხსნისთვის.

არჩეულ არიან: 1. გიორგი ვასილის ძე მელიქიშვილი 2. იაკინთე ნიკოლოზის ძე ცისნელიშვილი 3. გიორგი ალექსანდრე ძე ტოქოშვილი 4. სამსონ ივანეს ძე კლიმაშვილი 5. ნიკოლოზ გიორგის ძე კლიმაშვილი 6. მემნონ ნიკოლოზის ძე ჩხეიძე 7. გრიგოლ ნიკოლოზის ძე ცრილთავი 8. სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილი 9. გიორგი გაბრიელის ძე ტოშხიდე 10. სოლომონ პეტრეზე ძე სარაჯიშვილი 11. მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩაჩავიშვილი 12. ივანე მიხეილის ძე ენასყოფაშვილი, სიის მიხედვით დრის ბ. გრიგოლ ნიკოლოზის ძემ ერისთავმა წერილობითი განცხადება შემოიტანა, რომელთაც უარი განაცხადა მოსამართლეობაზე სპეციალი გარემოებათა გამო. მის მაგიერ მოსამართლეთ ჩაირიცხა კანდიდატი ზაქარია ჭანტერია.

ამის შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით შეიმუშავეს შემდეგი წესრიგი: 1. ყრილობის თავმჯდომარის არჩევა; 2. უსნების განაწილება და მოწყობა. 3. ნივთიერი მდგომარეობა მოსამართლეებისა.

1. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნენ გიორგი მელენთიშვილი, რომელსაც უნდა ეცნობოს; უკეთუ იგი არ დათანხმდება, მაშინ უნდა მეორედ იქნეს არჩეული მოსამართლეთ ერთის ხმისაწილ ყრილობის მიერ.

2. ეროვნულ მთხსენთა ყრილობამ დაარსა გორის მაზრაში 11 სამორიგებლო უსანი: 1. (გორის უბანი) რომელშიაც შედის ა) თვით ქ გორი, ბ) ხიდის თავის საზოგადოება (ბრა სოფლით, გ) მობენეის საზოგადოება 19 სოფლით და დ) ახალოფლის საზოგადოება.

2. მეჯვრისხევის უბანი, რომელშიაც შედიან ა) თვით მეჯვრისხევის საზოგადოება 50 სოფლით, ბ) ხელოვანის საზოგადოება 29 სოფლით და გ) ტყვიავის საზოგადოება, 3. ქვემოქალაქის უბანი; 4. ახალქალაქის უბანი. 5 ქვემოქალის უბანი. 6. ვიძის უბ. 7. ხაშურის უბ 8. სურამის უბანი. 9. პორკომის უბანი. 10. ცხინვალის უბანი. და 11. ჯავის უბანი. ამ უბნების განაწილებამ მოსამართლეთა შორის გამოიწვია კამათი, რომელმაც კამათის შემდეგ უმრავლესად ხმათა, თვითეულმა მოსამართლემ დანიშნოს ქალაქებზე სახელი და გვარი იმ პირისა, რომელიც მას სურს ამა თუ იმ უბანში მოსამართლედ იყოს. ამისთანა კენჭის ყრის შედეგს ყველა მოსამართლეც უნდა დაემორჩილოს. კენჭით არჩეულ იქნენ ხმის უმეტესობით შემდეგნი პირნი სამოსამართლო უბნებს: 1 გორის-ს.მგალობლიშვილი; 2) მეჯვრისხევი-ზი ჯ. ცოცხიშვილი, 3) ქვემომალეში—ი. ზესხი შვილი, 4) ახალქალაქში—ს. სარაჯიშვილი; 5) ჭარიელში—გ. კოპრიოიძე, 6) ჯომში—ნ. ქლიმაშვილი, 7) ხაშურში—ი. ნასყიდაშვილი, 8) სურამში—პ. ჩხეიძიე, 9) პორკოშში —ს. კლიმაშვილი; 10. ცხინვალში—ჩაჩავიშვილი; 11. ჯავაში—ენასეიი.

ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება დარჩებიან წვრილ ყველა მოსამართლე თავ-თავის უბანში და იქ აღვლენ[ებიე] მოაწყონ საქმე: ეზოვის სასამართლოების ბინა, სოსამსახურის ზედა ტები შეადგინოს, წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა კანონის წიგნებისა და კანცელარიის წიგნებისა. რაც შეიძება მოსამართლეთა ჯამაგირი, ხახინდან ეძლევა ცნო მ, ერთხმობიდან 950 მ., სულ—1.000 მან. 200 მ. ერთხმობიან მიეცემა ის განესაღებებისათვის, რომელსაც თვით მოსამართლე დაიწყოს მიხორებელს. ბინა იქნება მხოლოდ სასამართლოსთვის. თვით მოსამართლე თავისთვის ქირაობს სახლს. მინამ ყრილობის თავმჯდომარე შეუდგება საქმის გაძღოლას, გორის მოსამართლემ დროებით უნდა აკისროს მისი ფუნქციები.

ამ[დგილთან] ხელმოწერილია ყრილობის თავმჯდომარისაგან, მომრიგებელი მოსამართლეთაგან და შემოწერებულია ყრილობის მდივნისაგან:

ამ[დგილთან] ს[ხორია]: ყრილობის მდივანი **ს. მგალობლიშვილი.**

დღეს ჩვენ გაზეთს თან ართავს საქართველოს დამფუძნებელი კრების 14 მარტის ხსდომის სტენოგრაფიული ანგარიში; გაზეთი ანგარიშთან ერთად ღირს 2 მანეთი.

კუთაისის ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში

კვირას, 16 ამა თვეს, შესდგა წლიური კრება ქუთაისის განყოფილების ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებისა. კრებას დაესწრენ ბევრი პროფესიული წევრებიც. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება გამგეობის მოქმედებების, 2) საბუღალტრო კომისიის მოხსენება, 3) ახალი წევრების მიღება, 4) ახალი გამგეობის და საბუღალტრო კომისიის არჩევა და 5) მიმდინარე საკითხები.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა გამგეობის წევრმა ტეხნიკოს ლ. მიქელაძემ, სადაც ნათქვამია ჰქონდა, რომ ძველ გამგეობას მოეცა განზრახვა ჰქონდა, როგორც მგალობლად მუშაობის დაარსება, ტეხნიკურ კინტორის გახსნა, ლექციების მოწყობა და სხვა, მაგრამ არა ნორმალური პირობების გამო, რომელზეაც იქ ყოფილებია ჩვენი რესპუბლიკა, ეს ზეგერი რამ დასახულ მიზნიდან ვერ განხორციელდა, მაგ. სახის ფინანსიური გარემოების პილს ან უუყოფლად, თუმცა იმ გარემოების გასაუჯთესებლებათ მათ მხურვალე მოწოდებით მიმართეს ჩვენ კაპიტალისტებს და ვეპარ-მოწყვეტილს, რომ იმათ ფინანსიური დახმარება გაეწიათ ახლად დაარსებული ტეხნიკური საზოგადოებისთვის და თანაც მისი წევრი. სპეციალისტები გამოეცხადათ თავიანთ კაპიტალის და წარმოებისთვის, რითაც დიდ სამსახურს გაუწევდენ ჩვენ ხალხს, მაგრამ ესეც დარჩა ხმათ მოდებულობისა უცდაწინოს შინა.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს სარედაქციო კომისიის წევრი ტეხნ. ი. ლომთაძე, საიდანაც სჩანს, რომ სამში წარმთება გამგეობაში ყოფილა დრო და გარემოების მიხედვით დაჩქარებული.

მესამე საკითხი იყო ახალი წევრების სიის განხილვა და დამტკიცება, რაც მიეცემული წესდების ძალით. გამგეობის მიერ იქნა წარმოდგენილი სია მსურველთა ჩაწერისა საზოგადოებაში, სულ რვა კაცის, რომელნიც მიღებულნი იქნენ. ამგვარათ, ეტყობა, რომ საზოგადოების საყოველთაოდ ტეხნიკოსები და ინჟინრები სიმპატიურად ეპყრობიან და წევრების რიცხვი თანდათან იზრდება. შემდეგ მოხდა ახალი გამგეობის არჩევნები. არჩეულ იქნენ თავმჯდომარეთ ინე. გ. აბაშიძე, მის ამხანაგათ ინე. ზეთაძეები; გამგეობის წევრებათ: ინჟინრები—ნემსაძე, კაკაბაძე; ტეხნიკოსები: ი. სკლიარიენი, ი. მარდალეიშვილი და ლ. მიქელაძე. კანდიდატებათ: ნ. ამირაღოვი, ინჟ. ჯაფარიძე და ი. ლომთაძე. საბუღალტრო კომისიაში: ინჟ. სოკოლოვსკი, ნ. ტყემლაშვილი და მ. გორგიძე. ახალი გამგეობამ უკვე შეუდგა მუშაობას, სხვათა შორის, მიზნით ამჟამად მოიწვოს ლექციები, მოხსენებები ახლო მომავალში, რაც მით განუცხადეს კიდეციც სახალო უნივერსიტეტის და მუშათა კლუბის გამგეობებს. ამავითარ, პირველ ნაბიჯებიდან, ვი ჩანს, რომ ახალი გამგეობის მუშაობა გამოირჩეის ის იმედებს, რომლითაც აყვნენ აღუჭურვილი მისნი.

უცხოეთში

(სპქ. დეპ. საგ.)

მისკვა ც. ი. ქ. ბეჭედითი ბიუროს ბიულეტენი.

ლონდონი, მარტის 31. შეთანხმების სოციალისტების კომისიამ პირნის კონფერენციაზე ინგლისის მინისტრ ლლოდ სესილთან თათბირის შემდეგ ხალხთა ლიგის საკითხებზე უარჰყო თავისი წინადადებები დამყარებულ სართაობრისო თვალსაზრის ლეგნა საკითხებზე ბრალდებაზე. მთავარეში ომის მოსპობის, ხალხთა ლიგაში დელეგატების არჩევის არა მთავრობის, არამედ თვით ხალხის მიერ, რესპუბლიკა გერმანის ხალხთა ლიგაში შეტანის საკითხებში შეთანხმების სოციალისტები დაითანხმნენ ლორდ სესილს.

ნიუ-ნი. აპრილის 1. გერმანიაში მოითხოვენ რუსეთთან დამოკიდებულების განახლებას. საზოგადოებრივი აზრი გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ ჯერ დაეთანხმნენ გერმანია მოკავშირეთა მოთხოვნის არ განაახლონ რუსეთთან ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება.

ზედაპეშა. აპრილის 2. პრაღაში ჩაითქვა ამ შუშაო სოციალისტურ პარტიის რწმუნებულთა კრება, რომელიც მოითხოვს მხედრ მამულების, მაღაროების, ტყინის გზების, ბანკების, დიდ ქარხნების და შენობების კონფისკაციას. შრომის ბეგრის კანონის შესახებ რეზოლიუციაც პრაღისტებს აცხადებს ჩვენის მილტარიზმის წინააღმდეგ, რომელიც ემუშაობა უნგრეთის და რუსეთის პროლეტარიატს. უნგრეთის მთავრობა საუკეთესო მსახიობებისგან ადგენს დასს, რომელიც შემოველის სოფლებს და გაიცნობს გლეხებს თვალსაჩინო მშრომელთა და კომპრომატორთა ნაწარმოებით.

ნაუენი, აპრ. 1. რიგის ოლქში გაფიცულის განაბოლების გამო შეიდეშნის მთავრობამ დაადგინა, შეიტყვნის ამ ოლქში მთავრობამ ჯარი და გამოაცხადოს საალო წესები.

ტაშკენტი, აპრ. 30. ეგრის მოკლის შემდეგ ავღანისტანში დიდი ბრძოლია, ბალაშეულების ხელში ჩასაგდებათ ინგლისელებს და ნაციონალისტებს შორის.

ნაუენი, აპრ. 1. ესენის მუშებმა გადასწყვიტეს საერთოდ გამოაცხადონ. სხვა მოთხოვნილებათ შორის მუშები მოითხოვენ 6 საათის ლის შემოღებას საბჭოთა სისტემის ღიარებას, ყველა პოლიტიკურ პატიმართა დაუყოვნებლივ გამოცხადებას, მობილიზაციო ყველა კორპუსების დაშლას და რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკასთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ განახლებას.

აღმოსავლეთის ფრონტი. სტერლიტამაკის რაიონში ზემოფარალის მიმართულებით კანაკაოლის ჭარხლის აღმოსავლეთით ჩვენ რამდენიმე სოფლები დავიჭირეთ. ჩრდილოეთით ბრძოლა ჩვენ ავდიანი-პატრიოვის ჭარხანა დავტოვეთ. უფის რაიონში სტერლიტამაკის მიმართულებით ჩვენი ნაწილები ბრძოლით იხევს მდ. აურგაზისკენ. მენშევნიის რაიონში, კრასნოუფის მიმართულებით მიკარაულებს ჭარხანა დატოვეთ. უფის რაიონში ჩვენმა შეტევამ უშედეგოთ ჩაიარა. ჰერმის რაიონში სად. კუზნეცოვ ბრძოლა გრძელდება. ზოგ ადგილს მდ. კამასთან ჩვენი ჯარი იხევს.

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ

ხელოვნების კომისია

სხვა კომისიებთან ერთად შესდგა ხელოვნების კომისიაც, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, დამფუძნებელ კრებასთან.

ეს ფაქტი აღიარებს იმას, თუ ჩვენი დაშფენებული კრება და დიდ ნნაშენებობას ტ ყურადღებას აქცევს საერთოდ ხელოვნებას. ეს პრინციპი უკვე ჩამოყალიბდა. მხოლოდ ცხადა პერსონალურ შემადგენლობას აქვს ნნაშენელობა, როგორ გაუძღვებიან ამ დიად საქმეთ და ნნაშენელოვან საქმეს.

კულტურა ერისა გამოიხატება ხელოვნებაში.

ყველა ხელოვნების დარგის წარმომადგენელს ამ „კომისიისაკენ“ აქვს მიპყრობილი ყურადღება. ყველა გვალი ცდილი და შეკავებულ სუფთანით ელის პირველ სიტყვას ახალ ხელოვნების კომისიისას.

საკმარისია „კომისიის“ მხოლოდ პირის გახსნა თავის სიტყვის სათქმელად, რომ აშკარად გამოირკვეს ხელოვნების მომავალს გეგმა ე. ი. შეძლიან მას ხელოვნების აყვავება, თუ მისი დამარხება.

სწორეთ ამიტომ ძნელი და ფრთხილი მოვალეობა დღეს თავს „ხელოვნების კომისიას“. ენახოთ როგორ და რით დაიმსხურებს ახალი კომისია ხელოვნებია ნდობას.

გიორგი ლეონიძე

თქმულება შოთა რუსთაველზე

როგორც „ბორბა“ № 74 გვატყობინებს, კომპოზიტორი ე. არაყიშვილი ახშოვიდგება ვანდალიზმით და თავის ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ დამბინძურებით, ანტრაქტების გაჭიანურებით და სცირით სალის გულგრილობით, რის გამოც 3ს.ნს თავს ოპერას სახელმწიფო თეატრის სცენიდან.

ახალი ქართული ლიტერატურა.

კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილმა დაასრულა ახალი ქართული ლიტერატურა, რომელსაც ქართული საეკლესიო გალობის მოყვარულთა საზოგადოება ამ დღეებში საზოგადოების გაიცნობს. ამისათვის შედგენილია საგანგებო ანსამბლი ახალგაზრდა არტისტებულ ძალებისაგან და სულ ახლო მომავალში ზემოხსენებული საზოგადოება გამართავს პირველ სასულიერო კონცერტს. ანსამბლში მიიღება კიდევ დასრულდა, არის მხოლოდ ორი ვოკალისა ტენორისა და ბანისა, კონტრალტო და სოპრანო, პირობების გაგება შეიძლება მისამართით: ქართული მუსიკალური სასწავლებელი. სლეპკოვის ქუჩა № 4, (ოთხშაბათი, ხუთშაბათი, შაბათის სად. 5—7 საათამდე).

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

○ გუშინ საღამოს გვრდაიცვალა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ხომერიკის ძის ყორდანიას 12 წლის ვაჟი ანდრია.

○ გუშინ ამერიკიდან ტფილისში ჩამოვიდა 40 ამერიკელი ინსტრუქტორი და მოუწყვეთის დები, ამიერ კავკასიის ლტოლვილთა დასახმარებლად. ამასთანავე ჩამოვიდა გაზეთ „ტრიბუნის“ თანამშრომელი.

○ 2 აპრილს საღამოს 6 საათზე 3ე-4-ე რაიონის სახალხო გვარდიელმა მ. ბახმეიშ ვინტროკით მოჰკლა კ. ვართანოვი.

○ 2 აპრილს ღამით გეგიჯაურებისა და სიმონოვის ლუქნიდან ბორობ გაზზრახველები 25000 მან. პაპიროსი მოიპარეს. იქვით დაპატიმრეს: მ. აკოფოვი, ი. ბარამოვი, დ. გაბკაროვი და გ. ეგაროვი.

○ საქ.-რიაელოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბიურომ მიიღო და ჰყიდის საბეღლესო სკოლის მიერ დამზადებული ბადრიჯნის და პამიდორის კონსერვებს, რომელსაც შეიძლებენ დიდის ხალისით ყიდულობენ კოლოფს 5 მანეთით.

○ 2 აპრილს გ. სამოძღუის ბინიდან (შადაღების ქ. № 25) ბორობ მომქმედმა 10050 მან. ღირებული ნივთები მოიპარეს.

○ 2 აპრილს დილის 8 საათზე საგანგებო რაზმმა თვითმართველობის გადაცემულ მოსამსახურეთა დელეგატთა კრების თავმჯდომარე ღ. პ. კორეცი დაპატიმრა.

○ დამფუძნებელი კრების წევრი მ. პ. სტეპანეკიძის ლიქვიდ კონსტიტუციის შესახებ, რომელიც უნდა წაეკითხა სხვანაი სახლში, ვკრიას, 6 აპრილს, მიგაზ დამოყიდებელ მიზეზთა გამო, გადაიდო მომავალ კვირასათვის 13 პპრილისთვის. ღამესა ახალ კლუბის დარბაზში იქნება წაკითხული.

სომხეთის მთავრობის დადგენილებით, საქართველოში მყოფ სომხეთის ქვეშევრდომ სომეხ ლტოლვილთა საქმეების გამგეობაში მიეწყო სომხეთის ქვეშევრდომ სომეხ ლტოლვილთა საქმეთა გამგეობაში სომეხთა ეროვნულ საბჭოს.

○ სომხითის პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი იმის შესახებ პარლამენტის არჩევნების შესახებ. არჩევნები დანიშნულია 21, 22 და 23 ივნისისათვის. შესდგა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარედ პარლამენტის წევრი ბარატოანი დაინიშნა.

○ 1 აპრილს საღამოს 9 საათზე, სასტუმრო „შვიცარიაში“ შეიჭრნენ რამდენიმე შეიარაღებული პირნი და იქ მცხოვრები 31.000 მან. ზარალეთ და მიიმალნენ.

— ამავე დღეს საღამოს, ასტროფის ბინიდან (ლერმონტოვის ქ., № 8) 40.000 მ. ღირებული სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს და მიიმალნენ.

○ 1 აპრილს ღამით ა. პლემინის ბინაზე, 1 კოერციულ სასწავლებელში შეიჭრენ 4 შეიარაღებული პირნი და სეკედილის მუქარით 8.000 მან. გაიტაცეს.

○ 1 აპრილს, ღამის 10 საათზე, თავის ბინაზე (მიხეილის ქ., № 91) ბორტა-გამხრახველებმა დანით მოჰკლეს მინა ზამოროდეი. მკვლელი მიიმალა.

○ ახლო მომავალში წითელ ჯარის ქალთა კომიტეტი მარიანეს სადამოს ჯვიახელ ბაღშია თავშესაფრის სასარგებლოთ.

○ პოლტრ არჯევნიძეს, ვაკეზე, უნივერსიტეტის პორტალის ეს მეორეკერ თავს დაესხენ პირობ-გამზრახველები. აღსანიშნავია, რომ ამ მხარეზე დარაჯები თავის მოვალეობას პირნთილად არ ასრულებენ და ხშირია ამ ასეთი თავდასხმა და განსაკუთრებით ქურდობა.

ᲙᲐᲨᲣᲒᲐᲠᲔᲒᲔᲚᲘ ᲓᲔᲓᲔᲤᲔᲚᲘ ᲡᲘᲐ

ჩაუბარებელი დეპეშებისა ტფილისის ცენტრალური ტელეგრაფის კანტორისა.

31 მარტის 1919 წ.

ბორჯომიდან—ნავთის საღგურის უფროსს ოგანნოვს, ყვირილიდან—კუბაძეს, ნუხიდან—იოსებ ჯაფარ დბაძი ოღლი, ელენინოდან—დერიაზს, ყაზბეგიდან—ალექსანდროვს, მანგლისიდან—პაველს, ბაქოდან—ელდისლაფსკის, პატროვსკიდან—კუდგინოვს, ფორტ-პეტროვსკ—ტუკოვს, ჯალა-დიდიდან—აკაკი ბებიაშვილს, თელავიდან—ახმეტიდან ბაქოდან—ისაკ ასტროვს, განჯიდან—(ნადსტორჩინს) სალმინოვს, ცივკიდან—დიმიტრი მდივანს, ერევნიდან—კლენის, იქიდანვე—პიჩხაიძეს, ქუთაისიდან—სოსანიას №141,6. ერევნიდან—ივანეი ეროფეევს, ცხინვალიდან—პეტრე ჯიოშვილს, ფაშუთიდან—ჯოხაძეილს, პატროვსკიდან—დარჩენილს, შორაპანიდან—ფუტკარაძეს, სართაველიდან—ზიტრაბოვს, ელენინოდან—ირიძეს, განჯიდან—ჰერიდონეს, ბქიდანვე—კარბელოვს, ახალციხიდან—გიულტერტს, ელენოკიდან—გრიცაცატერეს, ტფილისიდან—თავართქილაძეს, ქუთაისიდან—ჯაბურიას, ფოთიდან—სტდგ. №ი 17, ჩოხატაურიდან—სიმონიას, ბაქოდან—ზაკატოვს, სამხრეთიდან—ცაკაძე, ალექსანდროპოლიდან—ხატისოვს, დილიჯანიდან—ტერმენიანოვს, გუდაუთიდან—შავსულს, ბაქოდან—სადუღაშვილს, ტფატერთოვს-ყიდან—ვანაზოვს, განჯიდან—დავლატოვს, ჩოხატაურიდან—სიმონიას, წნორის-წყალიდან—როსტომაშვილს, ახალციხიდან—ვაზაიძეს, ერევნიდან—ივანიანს, ალექსანდროპოლიდან—ზხუმანიანს, ერევნიდან—ამოლახვოს, იქიდანვე ამოიანეს, ალექსანდროპოლიდან—პროშატუიანცს, ხარკეულიდან—პეტროვს, ნუხიდან—სააკოვს.

ᲛᲐᲜᲒᲜᲘᲡᲛᲘᲜᲔᲑᲘ

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1917 წ. სექტემბრის 4-ს დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდრძი გიორგი კირილეს ძე პალიპენკოსი. 569 1—1

ბრძ შუღეიმოვის ძე სალმანი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, რაც გაუქმე ბულად უნდა ჩაითვალოს. 460 3—1

ქალაქ ქუთაისის მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვლეულ მიხეილ თომას ძე ჩიკვაიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჩიკვაიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1941 მოხ. აღნიშნულ ვადაში. 575 1—1

ქალაქ ქუთაისის სამოქრიგებლო განყოფილების მოსამართლე იწვევს გარდაცვლეულ შაფათა ისხვას ძე რიკინაშვილის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ თავისი უფლება რიკინაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1941 მოხ. აღნიშნულ ვადაში. 576 1—1

სიღნაღის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვლეულ ნოკოლოზ მიხეილის ძის ქავთარაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ქავთარაძის ქონებაზე, სამოქალაქო კანონთა კრებულის მე-1241 მუხლით აღნიშნულ ვადაში. 577 1—1

სიხ. სამ. წარ. წესდ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ვმეზებ ქ. ტფილისის მცხოვრებს პეტრეგია ოსიას ასულს სინიკვილს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-1655 მხ. ძალით. ნიშნები: შუათანა ტანის, თმა მოპარსული, თვალები ცისფერი და ღრმა, გამხდარი. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს სინიკვილი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომლთა განკარგულებაში აღმოჩნდება მისი ქონება, ვალდებულ არიან დაყოფნებლივ შეიტანონ სათ.კუთნო სამართველოში.

570 1—1

ტფილისის ვაჭართა ბანკი ამით ატყობინებს, რომ შენახვის ბილეთი აღნიშნულ 1916 წ. მარტის 1-ს ბილეთი, № 273 1.100 მან., ფეთხილინის ღუთის შვილის ეკლესიის გამგის ვ. ჩ. ივანიანცის სახელზე, დაკარგულია, რის გამოც გაუქმებულად ითვლება. აღნიშნულ ბილეთის მპოვნელს თხოვენ წარმოადგინოს ის ბანკში.

586 3—1

დაკარგულია ამა წლის მარტის 31, პასპორტი ალექსანდრე კიმოვნის, (რუსის ქვეშევრდომია) კოკოვის მეორეს და ორი მილი შვილის და მეტრაჟული მოწმობა ვენიამინ კიმოვნისა, რაც გაუქმებულათ უნდა ჩათვალოს. 456 3—1

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ ისიდორ პარმენის ძე გოგობაძეს დაკარგა თამასუქის ბლანკი, ბელმოწერილი და ბრიელ ესახე დობორჯგინიის მიერ ხუთას მანეთზე, რომელი ბლანკიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 567 3—1

დაკარგულია ბილეთები ტფილისის პირველ ქერძო ლომბარდის № 79997 ღირებული 150 მან., 79998 ღირებული 50 მან., 80974 ღირებული 120 მ., 80975 ღირებული 200 მ., 81002 ღირებული 200 მ.

455 3—1

მალაქინ ქეჩაზე, № 21, მცხოვრებს პრასკოვია ონისიმეს ასულს მესაიქიეთას ამა წლის მარტის 24-ს დადგენილებით ტფილისის ოლქის სასამართლოს აცხადებს, რათა დღეიდან ორი კვირის ვადაში წარმოდგენილი იქნეს დამამტკიცებელი საბუთი, რომლის ძალითაც ზემოაღნიშნული ნაკლოლის ნაკონრის ის შესაკუთრეს მემკვიდრეს ნის გამოწვევა. 450 1—1

სიხ.სამ. წარმ. წეს. მე—846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ ტფილისის მოქალაქეს არსენ არუთინოვს, რომელსაც ბრალდება ასჯ. დებ. 1629, 1632, 1634, 9 მუხ. და 1459 მუხ. 2 ნაწ. აღნიშნული დანაშაული. დამსჯელის ნიშნები: 35 წლისა, შავ-წვერულა-ზა, აცვია შავი ფრენჩი, ასეთივე პალტო, ბოხობის ქუდი, ენაც იცის ლტოლვილი.

ყველა, ვინც იცის არსენ არუთინოვის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება დაკარგული ქონება, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადასცეს იგი სააქციონო გამგეობას.

571 1—1

ფოთის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ დანაკარგი ჯილთაბანდელი დაბეჭდილ საკოს ის მალბანიის მიერ სახელმწიფო სახლისა მმ. კუსისა № 10 ოდნიდან სანჯნოს მილიანსა გამოცხადების რიცხვიდან გაუქმებულია. 566 3—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების მოქალაქეი ვ. ა. ზამთისეი ამით აცხადებს, რომ 1919 წ. აპრილის 30-ს, დილის 10 საათზე დანაშნეული საჯარო ვაჭრობა ნიკოლოზ ლეკანის ძე აბაზიძის ჯიბრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს რაიონს. ქონება შეფასებულია 1500 მან. ვაჭრობა მოხდება აბაზიძის ბინაზე, „მეტეორა“ ქ., № 23, ქ. ტფილისის მე-2 კოპისრიაღეში.

458 1—1

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორიდან. ყარსის ხაზინაში შენახულ ქონების ბილეთი № 368, პუშინის სახელზე დაკარგულათაა გამოცხადებული, თუ ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან, ეს ბილეთი არ იქნა წარმოდგენილი ბანკის კანტორაში, იგი გაუქმებულად ჩაითვლება და მის მაგიერ ახალი მიიცემა.

564 1—1

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორიდან. სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში შენახულ ქონების ბილეთი № 51077, ოუზაშვილის სახელზე დაკარგულათაა გამოცხადებული. თუ ორი კვირის განმავლობაში, ამ განცხადების დაბეჭდვიდან ეს ბილეთი არ იქნა წარდგენილი ბანკის კანტორაში, იგი გაუქმებულად ჩაითვლება და მის მაგიერ ახალი მიიცემა.

564 1—1

კავკასიის სინოდალური კანტორა ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 2-ს იქ შეიტანა თბილი დიპტერი ანდრიას ძე იანგშნაიმ მის ცოლთან ანნა ეგნატეს ასულის იანგშნაისთან განქორწინების შესახებ. ზემოხსენებული იანგშნაი მიწვეულია სინოდალურ კონტორაში დასარეგისტრირებლად და მოწვეების დაკითხვის დროს დასასწრებლად. თუ ამ განცხადების დაბეჭდვიდან ერთი თვის ვადაში, იანგშნაი არ გამოცხადდა, საქმის წარმოება გადაწყდება.

459. 1—1

ტფილისის ეპარქიის სამტროპოლიტო სასამართლოში ვლადიმერ ადოლფის ძემ ბერძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი მარბარე ალექსანდრეს ასული, რომელსაც მან ჯვარი დაიწერა იეულის 9-ს 1899 წ., უკანასკნელ დაკარგა ბაპიოლის თვიდან 1912 წ. ქ. თელავისაგან. ყველა, ვინც კი იცის დაკარგული მარბარე ალექსანდრეს ასულის ბერძეს მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონით ძალით სამტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებული პირის შესახებ საქიროო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვიდან ორის თვის განმავლობაში.

457 2—2

ტფილისის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ეფროსინე ტიმოთეს ასულმა პალაშინამ დაჰკარგა ვადიანი პასპორტი № 792 მილებული 1913. სოსახუშინის უბ., სარატოვის გუბ. 1813 წ.

3—2 439

ტფილისის სადგურზე დაყარგე საფულე სადაც იყო 700 მ. ფული, პასპორტი ნაბინეთის საზოგადოების კომისრის მიერ მიცემული, სოც.-დემ. პარტიის საწერო წიგნაკი, მუშა დეპუტატ საწერო ბარათი და სხვ. დოკუმ. მნიშვნელოვანი დოკუმენტები მინც დამიბრუნოს, ბაქოს ქუჩა სახლი 12 სეით ანტ. ძე რაზმაძე.

451 3—1

ბახვა მიქაძე აცხადებს, რომ 28 მარტს ა. წ. მან დაკარგა პირადობის და ვინაობის ნოწერით: 1, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ მოცემული, და 2, ბაზრის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბიდან მოცემული № 28. ორივე მოწმობები არის ბაზრის რაიონის შტაბის თავმჯდომარის ამხანაგ ბახვა სოფრომის ძე მიქაძის სახელზე, რასაც ეთხოვება მნახველს დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ბაზრის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი ბ. მიქაძეს.

581 3—3

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოსულია

დ. თარხნიშვილის ნოველების კრებული

ᲒᲐᲛᲬᲧᲔᲢᲘᲚᲘ ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ

ფასი 5 მანეთი